ფასი 17 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 20

1920 წ.

აპრილის 4

კუკ-კოლისმა მოსთხოვა საქართველოს მთავრობას, ბათომის ოლქიდან ჯარები გაიყვანეთო.

(გაზეთებიდან).

საქართველო. ქიშ თქვენს მეფეს!

ინგლისი. უკაცრავად! ეგრე არ იქნება! ეს ხომ შამათია! გთხოვთ, თქვენი მხედარი უკანვე დააბრუნოთ!

საქართველო. არა, ბატონო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ვთამაშობთ „pièce touchée", ასე რომ ნურას უკაცრავად, თუ თქვენი თხოვნა ვერ შევასრულო და ეს მხედარი ადგილიდან არ დავძრა.

კონტრ-რევოლიუციონერი.

„ვინც პირდაბანილია, სუფთად
და ლამაზათ აცვია, ვისაც ტილი *)
არ მიაღოღს, ყველა კონტრ-რევო
ლიუციონერია და სასტიკათ უნდა
დაისაჯოს.“

(გუშინ-წინდელი ბოლშევიკური გაზეთიდან.)

— იცი, ჩემო, რა უნდა გაგიმხილო, — თვალების ჭუტვით და ეშხიანი კილოთი დაუწყო მატროშამ საუბარი ყოფილ დვორნიკსა და დღეს „ჩრეზვიჩაიკის“ თავმჯდომარე მიტიუხას. — ჩემი ბატონი ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონერია...

— საბუთი?.. დინჯისა და საქმიანი კაცის კილოთი იკითხა მიტიუხამ.

— აი საბუთი — წარმოსთქვა მატროშამ და გაქონილი კაბის ჯიბიდან კრახმალიანი საყელოს ნაგლეჯი ამოიღო.

— ნუ თუ? მაშ კრახმალიან საყელოს ატარებს, ის სისხლის მსმელი?..

— აი, გაჩხრიკე და თითონ ნახავ... განა მარტო ესა... — განაგრძო მატროშამ... — ყოველ დილით პირს იბანს და თავის წიწილებსაც აბანინებს... კბილის ჩოთქებსაც ხმარობენ და გუშინ წინ საპონიც დავუნახე... ღმერთი გამიწყრეს, თუ ტყუილს ვამბობდე...

— საპონიც რო გეშოვა...

— აი საპონიც... — მატროშამ ჯიბიდან საპონის ნაჭერი ამოიღო და სტოლზე დასდო — საცვლებს ყოველ კვირას იცვლიან და ჭუჭყიანს მე მარეცხინებენ... ქვაბებსაც, თეფშებსაც რეცხენ და წარმოიდგინე ოთახში იატაკსაც ასუფთავებენ...

საბუთები იმდენათ მრავალი და აშკარა იყო, რომ მატროშას ბატონის კონტრ-რევოლიუციონერობაში ეჭვის შეტანა ყოველად შეუძლებელი დარჩა. მიტიუხამ საღამოსვე დაიბარა ვექილი ივან პეტროვიჩი და ჩვენება ჩამოართვა.

შენ, მ... ლო, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ხალხს ამხედრებ? უჭკობესია გამოტყდე. ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს შენი კონტრ-რევოლიუციონერობისა.

— არაფერი მაგისი მსგავსი, ბ-ნო ჩემო, მე არ ჩამიდენია. ალბათ შეცდომაში შეიყვანეს თქვენი აღმატებულება...

— თავს ნუ იკატუნებ... კრახმალიან საყელოს ხმარობ?

— ახლა აღარა, რაკი აკრძალა მთავრობამ.

— პირს იბან?

— ზოგჯერ, ბატონო...

— აი სწორეთ ეგ არის, რომ შენ გინდა ხალხს გამოეთიშო და შენი უმსგავსო საქციელით სხვებს მაგალითი მისცე. საპონსა ხმარობ?

— მქონდა ბატონო, მაგრამ ვიღაცამ მომპარა...

— სტყუი, შე საზიზღარო! რას ჰქვია მომპარა! შენი იყო რომ მოგპარა? განა არ იცი, რომ კერძო საკუთრება აღარ არსებობს...

— უკაცრავათ, ბოდიშს ვიხდი, ბატონო ჩემო...

ბოდიში აღარ გიშველის! თქვენისთანა სუფთა ხელებმა დაღუპა ქვეყანა. სადაური მოქალაქე ხარ, რომ ერთი ტილიც არ მიგაღოღს, თმა გაგიკრეჭია, ფეხსაცმელი გაგიწმენდია.

— აბა წაიყვანეთ! უბრძანა მიტიუხამ ხელქვეითებს და ივან პეტროვიჩი, როგორც კონტრ-რევოლიუციონერი, იქვე სახლის უკან დახვრიტეს.

გავიდა ხანი. ხალხმა შეიგნო და შეითვისა რუსული სოციალიზმის ყოველი მუხლი. აღარავინ არც პირს იბანდა, არც თმას იკრეჭდა, არც თეთრეულს რეცხდა, არც სახლს ასუფთავებდა, არც ჭურჭლეულობას. არა თუ მუშა ხალხი და გლეხობა, თვით ინტელიგენციაც ერთიანად გაკომუნისტდა და მკბენართა სიმრავლის რეკორდიც აიღო.

ეს გარემოება ძლიერ ხელსაყრელი დარჩა სხვა და სხვა ჯურის ბაცილებისათვის და სოციალიზმის სამეფოს მოედვა მრავალგვარი სენი. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ მთავრობა დიდ საგონებელში ჩავარდა: ვაი თუ სამოქალაქო ომისათვის გასაწყვეტი არავინ დაგვირჩესო და სოვნარკომი დათმობის გზას დაადგა. დაე შეიკვეცოს სოციალიზმის ფარგლები, ვიდრე ხალხი განადგურდესო და შესაფერი კანონიც გამოიცა.

„ის, ვინც პირდაბანელი, გაუკრეჭელი და უსუფთაოა, ვისაც ტილები მიაღოღს, ყველა კონტრ-რევოლიუციონერია და სასტიკათ დაისჯება.“

(ბოლშევიკების რადიო ტელეგრამა გადმოცემული მარტის 29-ს).

— შენი გვარი? მრისხანედ შეეკითხა კომისარი ტუსაღს.

— ივან!

— გვარი, გესმის გვარს გეკითხები.

— მატვეიჩ...

— ახ, მჯე

შარშან ის იყო ბურჟუა და კონტრ-რევოლიუციონერი, ვინც პირს იბანდა, დღეს ის არის, ვინც არ იბანს.

— არასოდეს... თქვენ მუშა ხალხს ვერ მოატყუებთ...

— დახე, როგორ ფარასავით ეხვევა ტილები... წაიყვანეთ ეს კონტრ-რევოლიუციონერი. მე ვასწავლი მაგას როგორ უნდა მთავრობის წინააღმდეგობა.

მილიციონერებმა გაიყვანეს ჯიუტი მუშა და სახლის უკან დახვრიტეს, როგორც ცნობილი კონტრ-რევოლიუციონერი, უკანონოთ ტილების მატარებელი. ამ გარემოებამ მთელს სოვდეპიაში დიდი რისხვა და გულის წყრომა გამოიწვია. ტყვილათ კი არ ამბობენ: „ცხვარი ცხვარია, და თუ გაცხარდა ცხარიაო.“ გლეხობა, როგორც უფრო გულჩვილი და გულშემატკივარი ელემენტი, მთელის თავის სიძლიერით გამოიქომაგა ნარკომისაგან განწირულ მკბენარებს და კვალად გაჩაღდა რუსეთის სივრცეზე სამკვდრო—სასიცოცხლო სამოქალაქო ომი.

ხალხი დაესია კომუნისტ-საგლაშატელებს, ბოლშევიკ-პრეიდატელებს, რომლებიც ორი მკბენარის ყოლისათვის კონტრ-რევოლიუციონერს ეძახიან ხალხს და გაანადგურა.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ რუსეთის კომუნიზმის აღსასრული მკბენარებში იყო დამარხული.

მორიელი.

შექანჯალებულის ლექსები.

სმენა! ვშლერი:„ ნანი-ნანას.“
დაუძახებ ჩემს გულქანას,
ჯაჯიკას და ნინოს, ანას,
კვლავ ვეტყვი მათ გამოცანას:
„ჩრდილოეთიდან მომდგარი,
დაუნდობი მტრისა ჯარი,
თოფს და ხიშტებს გვიმიზნებდა,
ჩვენი შეპპა გულს უგზნებდა,
ჩვენთან სურდა ეს ომია,
ერთხელაც „ავჯონომია“
გახსოვო, რომ შემოგვთავაზა,
სამფლობელოც მოიხაზა,
ილესავდა ჩვენზე კბილებს,
არც ხორბლეულს და არც ფქვილებს,
ჩვენსკენ არ აპაჭანებდა.
შურით, რისხვით ქაქანებდა,
შამოგვარტყა გარს ბლოკადა...
ჩვენ არ ვსთლიდით ბოლოკადა,
მათ ფახაფუხს, მათ მუქარას,
დახეთ, იმის ბედის ჯარას,
რა უკუღმა დატრიალდა,
განადგურდა, გატიალდა,
დღეს ჩვენს ფეხთ ქვეშ განართხული,
თავლაფითა გათათხული,
გვთხოვს სიცოცხლე შევარჩინოთ,
მგონი კიდეც რომ ვარჩინოთ)
სჯობს, რომ ტკბილად დავიძინოთ
მათ სადმე გზა მიუჩინოთ,
უტემლაკოთ და უჩინოთ,
მუტრუკებზე შევაჯინოთ,
და ანტანტას გადულოცოთ,
სჯობია აქ არ ვაცოცოთ,
ქვემძრომნი და ჯოჯო გველი,
აქ სახლი გვაქვს დასაგველი,
მოვიშოროთ, სჯობს ნაგავი,
გავათავე აქ იგავი...
ღმერთმა მთხოვა თქვენი თავი...

ავად გავხდი, მიხურს ტვინი,
მომიხდება ასპირინი,
ან და ფხვნილი ქინაქინი,
მე ვსვი აბუსალათინი..
თხასავით ვიწყე კიკინი...
მოდი ვნახოთ დენიკინი,
რამ შეპამა დენიკინი,
მიველ, ვნახე დენიკინი,
ლენინმა ჭამა დენიკინი,
მოდი ვანახოთ ლენინი,
რა შეპამა ლენინმა,
მივილ, ვნახე ლენინი,
რუსეთი სჭამა ლენინმა,
დენიკინი-ლენინმა—
რუსეთიც ლენინმა შეჭამა.
მოდი ვნახოთ გერმანია,
რამ შეპამა გერმანია,
მიველ ვნახე გერმანია,—
ანტანტამ ჭამა გერმანია,
ანტანტამ—გერმანია,
დენიკინი—ლენინმა,
ლენინმა რუსეთიც შეპამა..
მოდი ვნახოთ ოსმალეთი,
რამ შეპამა ოსმალეთი,
მიველ, ვნახე ოსმალეთი,
ანტატამ სჭამა ოსმალეთი,
გერმანია—ანტანტამ,
ოსმალეთიც ანტანტამ შეპამა.
მოდი ვნახოთ ბათომი,
რამ შეჭამა ბათომი,
მიველ, ვნახე ბათომი,
ანტანტამ სჭამა ბათომიც.
გერმანია—ანტანტამ,
ოსმალეთი - ანტანტამ,
ბათომიც მან შეპამა...
მოქალაქე ანტანტა!

არ გეგონოთ თლად პანტა
ჩაყლაპვას რომ გვიპირებთ,
საქმეს ჩვენც გაგიპირებთ,
ვაჰ, თუ ყელს გაგეხიროთ,
შეპმა რომ დაგვიპიროთ...
მოდი, ვნახოთ ვილსონი,
რა შეპამა ვილსონმა,
მიველ, ვნახე ვილსონი,
საზავო მუხლები ჰყლაპა ვილსონმა...
მოდი, ვნახოთ ზავი,
რამ შეპამა ზავი,
მიველ, ვნახე ზავი,
კონფერენციამ სპამა ზავი.
კონფერენციამ — ზავი,
„ზავმა“ გერმანია შეპამა.
მოდი, ვნახოთ სპარსეთი,
რამ შეპამა სპარსეთი,
მიველ, ვნახე სპარსეთი,
ინგლისმა ჩააცვა „კორსეტი“
ეხლა, მნახეთ მეც,
რამ შემპამა მე,
მოვიდნენ მნახეს მე—
—სიძვირემ მპამა მე...
სიძვირემ—მე—
— მე სიძვირე შევპამე...
მოდი, ვნახოთ პური,
რა შეპამა პურმა,
მიველ, ვნახე პური,
ქვიშა სპამა პურმა...
ქვიშა—პურმა,
პური მე შევპამე...
მოდი, ვნახოთ რძე,
რა დალია რძემ,
მიველ, ვნახე რძე,
წყალი შესვა რძემ,
წყალი—რძემ,
რძე ჩემ ბავშვმა დალია.
მოდი, ვნახოთ შაქარი
რამ შეპამა შაქარი,
მიველ ვნახე შაქარი,
პონჩიკებმა სპამეს შაქარი,
პონჩიკებმა — შაქარი,—
პონჩიკები ბურჟუებმა შეპამეს.
მოდი, ვნახოთ სპეკულიანტები,
რამ შეპამა სპეკულიანტები,
მიველ, ვნახე სპეკულიანტები,
ჭირმა შეპამა სპეკულიანტები,
ჭირმა—სპეკულიანტები—
სპეკულიანტებმა ჭირი შეპამა.

შექანჯალებული.

კუჭი და სინიდისი.

კუჭი და სინიდისი სცხოვრობდენ ბევრად უფრო ადრე ადამიანის გაჩენამდე.

კუჭი იყო მრგვალი, კუნთ-მაგარი, მძიმე, ელასტიური არსება და ნიადაგ მიწაზე დაგორავდა ზანტად და ზარმაცად.

სინიდისი კი ნაზი, ჰაეროვანი და გრძნობიერი იყო, მუდამ ზევით ლივლივებდა, კარგა დიდ სიმაღლეზე, და არასოდეს დაშვებულა დედა-მიწაზე.

სინიდისი და კუჭი ერთმანეთს ვერ იცნობდენ, მაგრამ რაღაც გაურკვეველ მტრულ გრძნობას კი ატარებდენ ურთიერთის წ ნააღმდეგ.

სინიდისი სცდილობდა, არ შეეხედნა კუჭისათვის და თუ უცაბედათ თვალს შეასწრებდა, ზიზღით მოარიდებდა ისევ.

კუჭი, თუმცა ზევით ახედვა არ შეეძლო, სინიდისი რომ დაენახა, მაგრამ განუწყვეტლივ გრძნობდა მის მუნყოფას ინსტინქტით გაურბოდა მას და მიჩქმალულ ადგილს ეძებდა დასამალავად.

ასე სცხოვრობდენ კუჭი და სინიდისი ადამიანის გაჩენამდე.

მაგრამ აი, ღმერთმა გააჩინა ადამიანი და კუჭისა და სინიდისის ცხოვრებაც შეიცვალა.

ერთხელ კუჭმა თვალი მოჰკრა მძინარე ადამიანს და მისი ყურადღება დაღებულმა პირმა მიიპყრო.

— აი სად ვიპოვე მყუდრო ადგილი, გაიფიქრა კუჭმა: ამ ხვრელში ჩავძვრები და გადავრჩები იმ საძაგელ სინიდისსო.

მოსწურა თვისი კუნთები, შეიკუმშა კაკლის ოდენათ და ჩაუძვრა პირში.

მძინარე ადამიანმა ვერ მოახერხა ყელში გახირული კუჭის პირიდან გამოგდება და ჩაჰყლაპა.

კუჭმა გაიარა ყ ნყრატო, შგმდეგ კარგა მოგრძო მილი და გულმუცელის ეპკს ქვეშ დაიდო სამუდამო ბინა.

თავი რომ სამშვიდობოს იგულა, მოუშვა დაჭიმული კუნთები, გაიბერა, მისწი-მოსწია მეზობლები და შინაურულად მოიკალთა.

მხოლოდ ახლა გაეღვიძა ადამიანს და ზეზე წამოიჭრა სასწრაფოთ. სახეზე წუხილისა და ტანჯვის მეტყველება ალბეჭდოდა, თვალები მშრალად უელავდა და პირში ნერწყვი აწუხებდა.

ჰშიოდა. გიჟივით მიმოიხედა ირგვლივ, თვალი მოჰკრა, იქვე შელის პატარა ნუკრი სძოვდა, დაიჭირა, აიღო ქვა და მოემზადა მის მოსაკლავათ,

სინიდისი ყოველსავე ამას ჰხედავდა, ის მიხვდა, ვინც ამოძრავებდა ადამიანს, ვეღარ მოუთმინა გულმა და მსწრაფლ ძირს დაეშვა.

— ის საზიზღარი კუჭი უნდა ავლაგმოო, გაიფიქრა მან და პირში ჩაუძვრა ადამიანს იმ განზრახვით, რომ თავში ან გულში გაეტანებინა და იქიდან დაეწყო კუჭთან ბრძოლა.

მაგრამ ძალზე მოშივებულმა ადამიანმა აღარ აცალა სინიდისს გზის გაკვლევა და რაკი პირში იგრძნო, მაშინვე ჩაჰყლაპა.

ამგვარად სინიდისი კუჭში მოემწყვდა.

მართალია, კუჭმა ვერ მოხარშა და მოინელა იგი, მაგრამ მტრის ხელში აბა რაღა ბრძოლა შეიძლებოდა.

მას შემდეგ სინიდისი კუჭის ტყვე არის და ადამიანები ტყუილად ჰფიქრობენ, თითქოს იგი თავში იმყოფებოდეს, შუბლს უკან.

თაგუნა.

რკ. გზის ხაზიდან.

ექიმ-ფერშლებს.

მოსაკვდავი ყველგან კვდება
და რა ჩვენი ბრალიაო,
ვისაც ხელი კი მოვკიდეთ
ყველამ სული დალიაო.

მხატვარი კვატაშიძე სამტრედიის რ. გზის კლუბის დეკორაციის ხატვის დროს ძრიელ ავათ გახდა. გამოჩენილმა პროფესორ ექიმმა დვორნიკოვმა შემდეგი წამალი გამოუწერა: ორი ფუთი ზეთი და ფუთ ნახევარი ფერად-ფერადი კრასკა. ავათმყოფმა ჯერ ჯერობით მიიღო ფუთი და ხუთი გირვანქა ზეთი და ნახევარი ფუთი კრასკა.

როგორც ემჩნევა ავათმყოფი უკეთაა და ვინაიდან მას შეძლება არა აქვს ზემოხსენებული წამლები შეიძინოს და სრულიად მიიღოს, ამისათვის გამგეობამ და რ. გზის მასწავლებელთა საბჭომ იკისრა დანარჩენი 35 გირვანქა ზეთის და ფუთი კრასკის ყიდვა.

სახალხო ექიმის უხილავის აზრით, რომელმაც ავათმყოფი ინახულა, სრულიად მის განსაკურნავათ საჭიროა მათრახის კუდი.

მეორე ნაწილის რ. გზის ტელეგრაფის კონტრალიორ-მეხანიკმა ბ. ზლობინმა ამ დღეებში გახსნა კანტორა, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული სხვა და სხვა სურსათ სანოვაგე შეიძინოს და იაფ ფასებში მოსამსახურეებს მიაწოდოს. ამისათვის მან აღძრა შუამდგომლობა რ. გ. სამმართველოს წინაშე, რათა ის იქნეს განთავისუფლებული სამსახურიდან.

აგრეთვე ვინაიდან მას რევმატიზმი აწუხებს ითხოვს სამას ცალს „ეშმაკის მათრახს". სამმართველოს მათრახები არა აქვს და იმედია ეშმაკი გამოგზავნის და აგრეთვე შეგვატყობინებს რამდენრამ ენი მათრახი უნდა იიღოს დღეში.

მეფუთე-მეფეს ბ. ეშმაკს.

მოვალეობა ჩემი, მეუფეო, ღირსეულად შევასრულე. ნატანების ხაბაძის გახსნის შემდეგ სისტემატიურად მიმაქვს დენიკინელებისათვის საზრდო. ჯერ-ჯერობ თ გავიტანე 5000 ფუთი ღორის ხორცი, 12000 ინდაური ები, ქათმები, ბატები და იხვები. 100000 კვერცხი ძრიელ დახმარებას მიწევენ, როგორც დამოენის ჩინოვნიკები, აგრეთვე მემანქანებიც. მე ღრმად ვარ დარწმუნებული დღეს თუ არა, ხვალ ისინი თქვენი ბრძანების ქვეშ იქნებიან. აგრეთვე ვარცელებ ადამიანებთა შორის შურს და მტრობას იქ, სადაც სათნოება სუფევს.

ერთი სათნოებით სავსე ოჯახი უკვე ავწეწ-დავწეწე, სიყვარული შიგ ამოვფხარი, შური და მტრობა გავამეფე. მამაკაცი ამ ოჯახის სამსხვერპლოდ მყავს გამზადებული და ამ მოკლე დროში მის სულს მოგართმევ. ეხლა მუხლ მოდრეკით გევედრები ჩამრიცხოთ საპატიო წევრათ თქვენს ოჯახში

მუდამ თქვენი პატივის მცემელი, მოსამსახურეს მეუღლე—ზოია პეტროვნა.

ბ-ნ ეშმაკს!

ვშუამდგომლობ რა თქვენს წინაშე, გთხოვთ ჩარიცხოთ წევრად ესე ღირსეული გვამი ჩვენს ოჯახსა წიაღსაშინა, რათა გადიდებულ იქნას დიადი ოჯახი ჩვენი.—

უხილავი.

ი ს პ ა ნ კ ა.

შიმშილ-სიცივე, ციებ-ცხელება,
სუ-დო, სახადი, ინფლუენცია,
ფილტვის ანთება... დღეს შეკავშირდენ,
და შექმნეს ერთი კოალიცია,
მყის თავმჯდომარეთ დასვეს ისპანკა,
გადასცეს მთელი ძალა-უფლება,
და რაც გვეწვია, მკაცრობს, ბრძანებლობს
დაიწყო ხალხის მუსვრა, აკლება;
დღეს ანგარიში არ აქვს მის მსხვერპლსა,
მრავლად გასწყვიტა ქალი, კაცია,
ვინ იცის, რამდენ სასარგებლო პირთ
უდროვოდ უყო ლიკვიდაცია;
გოდებს ქალაქი, მოსთქვამს სოფელი,
გაქრა ქეიფი, გაქრა ლხინები,
სადაც არ წახვალ, გლოვა ზარია,
სჩანს კუბოები, ბალდახინები.
დღეს აფთიაქებს და მეკუბოებს
ულიმის ბედი, დაუდგათ დარი,
ვეღარ აუდის საქმეს ვერც ერთი
და ჩაიმსაქნეს ოხრად ქანქარი.

ლუკ-ოლლი

საექიმო ქრონიკა.

მას შემდეგ, რაც ექიმ მევრაბიანცმა რენტგენის სხივებით დაუწყო ავადმყოფებს სინჯვა, აღმოჩნდა რომ არ არის არც ერთი ავათმყოფი, რომელსაც ქლექი არ სჭირდეს. ქვეყანა დაიღუპებოდა, რომ ამავე მევრაბიანცს ხელთ არ ქონდეს უებარი საშუალება ქლექისაგან განსაკურნავად. ის ორ ათას მანეთად ჰკურნავს ავათმყოფს ელექტ იზაციით და შეშხაპუნებით.

X.

„სოციალიზმი“



რუსეთის კომუნისტთა ბელადი ლენინი ეუბნებოდა ოსმალეთის კომუნისტთა ბელადს ქიამილ-ფაშას:

— ამხანაგო! დღეს ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ თვალუწვდენელ რუსეთის სივოცეზე საძარადისოთ დავამყარეთ სოციალიზმი: ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ გათვითცნობიერებულ ოსმალეთში ძველთაგან არსებობდა სოციალიზმის შესაფერი წესები: მაგრამ როგორც მოგეხსენება, არის ერთი ქვეყანა, სადაც თარეშობს აღვირ-წახსნილი კონტრ-რევოლიუცია და სოციალ მოღალატეთა ბრბო. ეს ქვეყანა არის საქართველო!, შენ, ამხანაგო ქიამილ-ფაშა, ჩემზე კარგა გესმის ქართველი მუშისა და გლეხის კვნესა და ეს კვნესა შენს კომუნისტურ გულს ლეხვარივით ესობა. მოდი, საერთო ძალით, მე—ჩრდილოეთით, ხოლო შენ—სახრეთით, გავანთავისუფლოთ საქართველოს მშრომელი ხალხი და მაშინ რუსეთსა და ოსმალეთს შორის აღარ იქნება სოლიანი შეჭრილი კონტრ-რევოლიუციის საბუდარი და ჩვენი ხალხი--რუსი და ოსმალო—დაუბრკოლებლივ მისცემენ ხელს ერთმანეთს. თანახმა ხარ, თუ არა, ამხანაგო?

— თანახმა ვარ, უპასუხა ქიამილ-ფაშამ.

— მაშ ჩვენი გეგმა ასეთია: გავაუმჯობესოთ და სრულ-ყოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგი საქართველოში და შემოვიღოთ იქ სწორედ ისეთი წესები, როგორც რუსეთში გვაქვს შემოღებული... გაუმარჯოს სოციალიზმს და თავისუფალ საბჭოთა საქართველოს!—გაათავა ღენინმა:

— გაუმარჯოს!—დასძახა ნური-ფაშამ.

გადასწყვიტეს თუ არა, მაშინვე, საქმეს შეუდგნენ: ლენინი თავისი წითელ ჯარით ჩრდილოეთით, შეიჭრა საქართველოში ხოლო ქიამილ-ფაშა თავის თავ-წითელა ჯარით—სამხრეთით.



თანახმად გეგმისა საჭირო იყო ისეთი წესების შემოღება, როგორიც კომუნისტურ რუსეთში სუფევს.

უპირველეს ყოვლისა რკინის გზათა **განსაზოგადოებრივებას** მიჰყვეს ხელი.

რკინის გზას შავრაზმულ საქართველოში სარგებლობდენ მხოლოდ ისინი, ვისაც მგზავრობა დასჭირდებოდა. დანარჩენი ხალხი კი პირღია რჩებოდა. ამ უსამართლობის მოსასპობად გაიცა სასტიკი ბრძანება, რათა მოეხდინათ რკინის გზის სრული სოციალიზაცია და მთელი ხალხის კუთვნილებად გაეხადათ იგი.

ამ მიზნით მოიხსნა ყველგან რელსები და დაურიგდა მთელს ქართველ ხალხს. თითო კაცზე მოვიდა $7^1/_2$ ვერშოკი.

ამიერიდან რკინის გზა საქართველოშიაც **ყველასი გახდა სწორედ ისე, როგორც რუსეთში.**

რკინის გზის სოციალიზაციის შემდეგ შეუდგნენ სასახლეებისა და სხვა სახელმწიფო შენობების განსაზოგადოებრივებას... კონტრ-რევოლუციონურს საქართველოში ჯერაც ხელუხლებელი იყო ყველა ის მდიდარი შენობები, თავ-თავის ავეჯეულობით, ძველ მთავრობას რომ დარჩა, და შიგ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები იყო მოთავსებული. ღარიბი ხალხი კი უბრალო ქოხებში სცხოვრობდა.

ამ უსამართლობის გასასწორებლად დაანგრიეს სასახლეები და დაარიგეს აგურები და ავეჯი, ასე რომ ამ შემთხვევაშიაც **გაათანასწორეს ყველა მცხოვრებნი ისე, როგორც სოციალისტურ რუსეთში.**



სოციალიზმის მტრების საბუდარში—საქართველოში—თუმცა ძველ მთავრობას ბევრი არაფერი დაუტოვებია, მაგრამ რაც დაუტოვა ის ქარხნები რიგზე მოქმედობდა. ამ უკუღმართობას, რა თქმა უნდა, სოციალისტურ საქართველოში ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა. ამის გამო ყველა ქარხნები დასწვეს.



და კონტრ-რევოლიუციური მანქანები გაანადგურეს. და საქართველოშიც წარმოების აღორძინებას ნიადაგი მოუმზადეს.



ვინაიდან საქართველოს ქალაქები ელექტრონის სინათლით იყო გაჩაღებული, ხოლო სოფლები-წყვდიადით მოცული, ამ უსწორ მასწორობასაც ბოლო უნდა მოღებოდა. აქ მიზნით მოსპეს ქალაქებში ელექტრონის სადგურები და ამიერიდან ქალაქი გაუთანასწორეს სოფელს.

საქართველოს განსაკუთრებულ უბედურებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ აქ არ მოიძეოდ- საუკეთესო ჯიშის მკბენარები, ხოლო ის უჯიშო მკბენარები, რომელნიც აქ მოიპოვებოდა, უკვე გა-

დუვარებისა და მოსპობის გზაზე იდგა. ამ უბედურების თავიდან ასაცდენათ საბჭოთა რუსეთმა დიდი მსხვერპლი გაიღო: მან საკუთარის უბიდან საუკეთესო ჯიშის მკბენარი ამოიყვანა და მთელს ჩვენს რესპუბლიკას თანაბრად მოჰფინა.

ამ გვარად ლენინსა და ქამილ-ფაშას გულშემატკივრობით საქართველოშიაც სწორედ ისეთივე სამოთხ სებური წესები დამყარდა, როგორიც ოსმალეთსა და საბჭოთა რუსეთშია.

რკინის გზის ფურცელი

(გასართობი რკინის გზის უფროს მოხელეთათვის)

თბილისი, აპრილის 4.

დღევანდელ ჩვენს მოწინავეში გვსურს გავარკვიოთ საკითხი ,,თავისუფალი ვაჭრობის‘‘. თავი რომ დავანებოთ ისეთ უწარჩინებულეს მხარეს, როგორიც საბჭოთა რუსეთია, სადაც ვაჭრობა სრულიადაც არ არსებობს, ევროპის დანარჩენ ქვეყნებში კარგა ხანია იბრძვიან თავისუფალი ვაჭრობის დასამკვიდრებლათ. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის დროს განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება წარმოების საქმე დაწინაურდება ქვეყნის კეთილდღეობა.

ეს ისეთი ნათელი და მარტივი აზრია, რომ ჩვენს რედაქციას ვერ წარმოედგინა, თუ ჩვენი მთავრობა ამ მხრივ წაქეზების ნაცვლად ხელის შეშლას დაუწყებდა ქართველ ვაჭრებს და აღებმიცემობის ხალხს. სამწუხაროდ ეს ასე მოხდა.

ამ რამოდენიმე დღის წინათ, რკინის გზის ტელეგრაფის კანტროლიორ მექანიკს მეხუთე ნაწილისას ბ ნ გვარამაძეს და ტელეგრაფის ზედამხედველს ბ-ნ ბატუაშვილს გაუტანიათ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებიდან სამსახურისათვის მინიჭებული ვაგონით ექვსი ყუთი უხმარი ლენტები ტელეგრაფისა და ბატარეის ნაწილები. სადგურ სანაინზე მატარებლის შემდგენელმა გეგეშიძემ შენიშნა ეს და საქონელი დაიჭირა. ყუთები ადგილობრივ მილიციას გადასცეს.

პირდაპირ აღმაშფოთებელი საქმეა. რა უფლება აქვს ბ-ნ გეგეშიძეს ქართველ ვაჭრებს, რომელნიც თავგამოდებით იღწვიან სამშობლოს საკეთილდღეოთ ხელი შეუშალოს. ცხადია მას ისე კარგა არ ესმის რას ნიშნავს თავისუფალი ვაჭრობა, როგორც ჩვენ რესპუბლიკის წარჩინებულ მოხელეებს კობახიძეს და ბატუაშვილს სცოდნიათ. მართალია ნივთები სახაზინო იყო, ვაგონი რომელითაც გადაიტანეს სახაზინო იყო და რესპუბლიკა, რომლისთვისაც სურდათ ამ ნივთების მიყიდვა ჩვენი დიდი მეგობარი არ არის, მაგრამ თავისუფალი ვაჭრობა ამგვარათ არ შეიძლება შეიზღუდოს.

ამბობენ მთავრობამ შეიძლება დასაჯოს ზემო აღნიშნული პირები კობახიძე და ბატუაშვილიო და ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ ისინი ბატონო ეშმაკო, წარვუდგინოთ მათრახის კუდით დასაჯილდოებლათ.

ელწერი.

პატარა მოხსენება დიდ საქმეზე

მოწყალეო ხელმწიფევ ბ-ნო მინისტრო!

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ჯანსაღობისა და მით სამუშაო ძალის განსავითარებლათ საჭიროა კარგი ჭამა და კარგი სმა, ერთი სიტყვით კარგი ცხოვრება.

ჩვენ, რკინის გზის რევიზორებს, უფლება გვქონდა ამ სახელმწიფოებრივი მიზნის მისაღწევათ რაიმე საშუალება გამოგვენახა და აი კიდევაც დავიწყეთ ჩვენი სახელმწიფო კუპეებით ბათუმისკენ ნოხების, კრაველების, კვერცხების და სხვა ამგვარი საქონლების გაცოცება.

ერთ-ერთ ასეთ მოგზაურობის დროს სადგურ ნატანებში ვიღაც მოღალატემ გაგვცა. გაგვაჩერეს და ოქმიც შეგვიყენეს, რომლის მიფუჩეჩება კარგა ბლომათ დაგვიჯდა.

ახლა, როგორც ბოროტი ენები ამბობენ ვიღაცა, ამ ოქმების გამოჩხრეკა და სამშვიდობოზე გამოტანა განუზრახავს. დარწმუნებული ვარ თქვენ ამ ბოროტ-მოქმედებს ხელს შეუშლით მის ბოროტი ზრახვების განხორციელებაში.

მას შინა ხელს ვაწერთ რკინის გზის რევიზორები: წუ-ძე, სი-ძე კარ. ზუბაძე და ქუმ-ძე გრიგოლ.

დედანთან სწორია: **ჯოჯოხეთის მაშხალა.**

მეზღვაურთა საყურადღებოთ.

ფოთის ნავთსადგური ამით აცხადებს უცხო მეზღვაურთა საყურადღებოთ, რომ თუმცა რესპუბლიკის მთავრობა ტყიბულის ქვანახშირს სთვლის სავალიუტო საქონლათ და საჭიროზე მეტს არ აძლევს არც ერთ გემს, მაგრამ ამ დაბრკოლების შემოვლა შეიძლება ორ გზით, უკეთუ გემის პატრონები იმას არ დაიშურებენ.

პირველი საშუალება ტყიბულის ნახშირის გელათის ნახშირათ გასაღებაა, ხოლო მეორე ჰკითხეთ გემ ,,ეფრატის‘‘ პატრონს.

აბდუშელიშვილს და როსტომაშვილს აქ დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ.

რედაქტორი კვერთხაძე

შარადა.

ქართველთ მგოსანთ შორის
ის იყო პირველი;
ევროპაც აფასებს—
მიხვდება მკითხველი.
ოთხ ანბანით ითქმება
იმისი სახელი;
ეს ვერ მიხვდეს ვეჭვობ
ისეთი ქართველი.
ჩვენ ვაფასებთ, ისი კ
ხომ ჩვენ თანაგვიგრძნობს
ნეტარ ხსენებული
ერთ ანბანს დაგვითმობს
ჩვენთვის საჭიროა
პირველი ანბანი;
დაგვჭირდება მხოლოდ
ერთობ მცირე ხანი.
ანბანს „ს„-ეს ჰგავს აქვენ
თევზის დასაჭერათ.
ვიცი შორს არ წავალთ
ამის ასახსნელათ.
ორი წინა ასო
ჩვენთვის საჭიროა,
ბევრს ნუ შევჩერდებით
ქვევით ჩ ვყვეთ დროა
შარადის ახსნის დოს
არ მისაყვერდუროთ.
მე მინდა რკინის გზის
ერთ სადგურს ვესტუმროთ
იქ ბლომათ შეგვხდება
სპეკულიანტები
ბათუმისკ ნ მიყავთ
თხა, ღორი, ბატები.
ინდაური, კვერცხები,
სანოვ გე ბლომათ,
ლომი და ქათმები
სხვისდა გასაძღომათ.
მეტი ქალებია
ამ საქმის მოხელე
თუ სწყალობს რა უჭირს
დამოჟნის მოხელე.
იქ რაები ხდება
არ ა:რის სათქმელი
ჩვენ გვჭირია მხოლოდ
სადკურის სახელი.
წინა ორი ასო
არ არის მოსახმარი
ჩვენთვის საჭიროა
ორი ერთად მდგარი.
შარადა მზათ არის
დავიმშვიდოთ გული
ხელთ გვაქს უცხო სიტყვა
ჩვენში ხმარებული
ვინც რომ მსუქანია,
სურს დრო გაატაროს,
ოხრათ ნაშოვარი
ოხრათ გადაყაროს,
ის იქ შებრძანდება
დროებას ატარებს...
იქ ვერ ნახავთ გლეხებს,
მუშებს—პროლეტარებს.
ვეჭვობ შეგნებული
ახლოს გაეკაროს,
ოფლით ნაშოვარი
წყალში გადაყაროს.
ნეტავ ეს ქვეყანა
როდის გასწორდება,
და მდიდართ მუცელი
რით ამოსწორდება?¡!

ისკანდერ.

მის მაღალეშმაკობას ე. დ. რ. მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე უფალ ეშმაკს.

მოხსენება.

1920 წ. თებერვლის 25 მთელს ზუგდიდის რაიონში, საისტორიო დღეთ ჩაითვლება. ამ დღეს მოხდა რევოლიუცია მართლ-მსაჯულებაში. დაინგრა ძველი მისი ფორმები. სამეგრელოს ორმა ბუმბერაზმა იურისტმა: მომრიგებელ მოსამართლეთა თავმჯდომარე ჩაჩიბაიამ და მომრიგებელმა მოსამართლე გობეჩიამ ამ დარგშიაც შეიტანეს ახალი გამაცოცხლებელი სიო. ამიერიდან სასამართლო ხალხს ისე დაუახლოვდა, რომ ხალხი იგივე სასამართლო იქნება და სასამართლო კიდევ იგივე ხალხი. ე, წ. სასამართლოს „კანცელიარშჩინა“ ჩაჰბარდა ისტორიას. რეფორმების ცხოვრებაში გატარებას, ზემოხსენებული პირნი უკვე შეუდგენ. თებერვლის 25, ქალაქის ბაღში სეირნობის დროს, ორივე მოსამართლეებმა მოიგონეს ვითომც გულის მოსვლა და ერთმანეთის შეურაცყოფა და იქვე რომ ხალხისთვის უფრო ნათელი ყოფილიყო ახალი სასამართლოს სიმარტივე, ერთმანეთი გაასამართლეს „თავპირმტრევის“ კანონის (მისი შემუშავებული ახალი კანონია) მე—109 მუხლის ძალით. გაცნობებთ რა უფალო ეშმაკო, ჩაჩიბაია გობეჩიას ასეთ ამაგს, ფე:იდისა და ხალხის წინაშე უმორჩილესად და დაბეჯითებით ვშუამდგომლობ თქვენს მაღალეშმაკობის წინაშე, ნება მიბოძოთ ორივე წმ. „მათრახის წვერის“ პირველ ხარისხის ორდენით დაჯილდოვების შემდეგ, მოვათავსო სახელმწიფო ხარჯით ზუგდიდში არსებულ ავათმყოფ და მოქანცულ მოსამართლეთათვის სანატორიაში.

მ. გ. მ. ს. თ. უფალ ეშმაკის ნაცვალი ზუგდიდში

კუდელამი.

დარიალში.



სანაპირო ჯარისკაცი. თქვენი გვარი?
ლტოლვილი დენ-კინელი. ივანოვი.
სანაპირო ჯარისკაცი. გაიარე.



სანაპირო ჯარისკაცი. თქვენი გვარი?
ლტოლვ ლი დენიკინელი. გამ...გამ...გამცემლიძე
ჯარისკაცი. ?.....



სანაპირო ჯარისკაცი. თქვენ ვინა ბრძანდებით?
1 ლტოლვილი. მე პროფესორი გახლავართ.
2 ლტოლვილი. მე არტისტი გახლავართ.
ჯარისკაცი. მობრძანდით, თქვენი ჭირიმე!

რუსეთის საკითხი და ანტანტა.



ინგლისი (ანტანტას) თავი დაანებეთ, მისტერ, მაგ კვანძის ღრღნას, თორემ კბილებს გაფუჭებთ!

ზადნი ჩესლო.!!

(ვაჭრის ჩივილი)

აფსუს რა დალაგებული ქვეყანა როგორ უშნონოთ გადატრიალდა. გუშინდელი ჩემი დუქნის ბიჭი დღეს სათავეში წამოჭიქულა და ისეთ ნაირ ბძანებებსა სცემს, თითქოს პრეზიდენტი ვილცონი იყოსო! „გოგო, ბიჭი, მუშა, ხელოსანი, ხაზეინი, ყველანი ერთიაო! ხაზეინები კი წელკავიანი ძაღლებივითა ვართ მოკუნტული და რასაც გვიბძანებენ ვასრულებთ"

ხალხნო, ნეუჟელი მე და ხოშტაროვი ერთი ვართ?! სად მე, სად ხოშტაროვი! სად მე, სად ოქროყანელი მეძაწვნე გიგუა!! ნეუჟელი ჩვენში რაზნიცა არ უნდა იყოს!! როგორ, ფული ჩემი, საქონელი ჩემი, დუქანი ჩემი, ფირმა ჩემი და ნეუჟელი მე და ჩემი ბიჭი ერთნაირი უსლოვიაში უნდა ვიყოთ!!

აფსუს, გეურქ, რა დროს მოესწარი!!... გამოსცემენ მანიფესტს და გინდა თუ არა ეს ასე უნდა იყოსო! შენ ვინა გკითხავს: ხაზეინი ხარ, გაძლევს ხელს რომ ეს ბძანება აასრულო თუ არა! ჩამოხდარან ამ ტარიფნოი პალატაში ჩემი ნაპრიკაშჩიკალი ბიჭები და სცემენ და სცემენ მანიფესტს: ნემედლენათ მოუმატეთ ჯამაგირ ბი მუშებსაო! მერე, ერთი თქმის მეტი კი არ უნდათ. მე შენ გითხრა ჩკალოშნიკთან არ უჩივლო, პრისტავთან, ან ღუბერნატორთან!

ხალხნო, ყველაფერი გავიგე, ყველაფერი მესმის, ყველაფერს შაურიგდი, ყველაფერს ვითმენ, მაგრამ ერთი რამე ვერ მომითმენია! კაცო, რომ გამოსცემს ბძანებას ეს ტარიფნოი პალატა თუ: „მიემატოს მოსამსახურეებს სამოცი პრაცენტიო და ისიც ზადნი ჩესლოთიო!!!." ეს... ეს.. ეს კიველარ მომინელებია, რაც მართალია, მართალია!

კაცო, ქრისტიანო, გამაგებინე ადრევე, იქნება ჩემი საქმე ვერ იტანს ამ კომატებას, დაიკეტავ ყველაფერს, ანგარიშითაა, ძმაო, ცხოვრება. მე დაანგარიშებული მაქვს თუ, ამა და აქ თვეში ამდენი მოვიგე მეთქი და ერთიც ვნახოთ, გამოვა ზადნი ჩესლოს მანიფესტი და მთელ დავთრებს ყირამალა გადმამიტრიალებს!

ვის გაუგონია?! არ ვიცი, არ ვიცი, აღარაფერი აღარ გამეგება! კიდევაც სჭრიან, კიდევაც ჰკერავენ! გინდა აბსუნდის გააკეთებენ, გინდა გადმობრუნდის!

რა ვიცი, კაცო, მაგათმა მიტინგებმა და სობრონიებმა ყურები გამოგვიჭედეს. წლიწადი თორმეტი თვე სულ იმას ყვირიან თუ; „ვპეროდ, ვპეროდო," და ახლა რა ქითამი გაუწყრათ, რომ ამ ტარიფნოი საქმეში ასე უკან იხევენ და ზანდი ჩესლოთი გვამატებინებენ ჯამაგირებს!

სირცხვილი და ავკაცობა იმათ რომ ამნაირი ზანდი ჩესლოს მანიფესტებით ტყუილათ სახელს იტეხავენ, თორემ მე რა, მე ყველაფერს გაუძლებ. მოუმატებენ სამოც პრაცენტს ზადზი ჩესლოთი, მე ტისიჩი პროცინტს მოუმატებ საქონელს პერედნი ჩესლოთი! აბა, ვნახოთ, იმათი ზადნი აჯობებს, თუ ჩემი პერედნი!

გოგია.

სტუდენტთა სასადილოში.

— დღეს რა არის სადილათ, ამხანაგო?

— გუშინწინდელი ბორშჩის ნაშთი ახალი ტარაკანებით და ძველის-ძველი შემწვარი ლანჩის ნაჭერი.

---

* * *

(ნ—ს.)

ვნებიან გულით ვისწრაფოდი შენკენ გუშინწინ:
შენს წყნარ ოთახში მე მელოდა ტკბილი ოცნება...
შენს მყუდრო ოთახს არ უგრძვნია ზარის „ძინ, ძინ, ძინ"
არ უსმენია სანეტარო ჩვენი კოცნები.
ბავშვო, შენ, ალბათ, გამიჯავრდი, რომ არ მოვედი,
და ბროლის ცრემლი წამწამებზე შენ გაგიბრწყინდა...
რა ვქნა ღმერთმანი, მეც არა მაქვს შენსავით ბედი;
გუშინწინ ისე საუცხოვოდ, ლამაზათ წვიმდა
და მე მინდოდა შენთან მოსვლა: შენ მე მელოდი...
ქუჩაში წვიმდა, ქარი ქროდა დრო გამოშვებით...
მე შენთან მოსვლას, გეფიცები, არ გაურბოდი...
მაგრამ არ მქონდა მე არც პალტო, არც კალოშები..

პიერო.

დეპეშები.

ფოთი. ექვსი დღის განუწყვეტელი სროლის შემდეგ ფოთის მილიციამ უკუაქცია კაპარჭინას რაიონში შემოსეული გარეული იხვები. გაქცეულებს კვალ და კვალ მისდევს პალიასტომის ტბით მცირე რაზმი ს. გუჯაბიძის წინამძღოლობით.

ბოდიალა.

— —

სად ქუთაისი: იანვრის პირველ რიცხვებში უგზო უკვლოთ დაიკარგა რკ. გზის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბერძენიშვილი. მპოვნელს ვთხოვთ დაგვიბრუნოს ჟურნალ ცისარტყელას ანგარიშები და ბერძენიშვილი კი თვითონ დაიტოვოს.

— —

იქიდანვე: ქუთაისის რკ. გზის მილიციამ თავის რაიონში საალყო წესები გამოაცხადა..

უბილეთოთ მგზავრობისთვის 20000 მანეთით აჯარიმებენ. ჯერ ჯერობით ციხეშია ამის გამო მხოლოდ მილიციის უფროსის ერთი თანაშემწე და ერთი მილიციელი, მეორე თანაშემწე კი რესტორან „ტურფა-ში“ მიიმალა.

ქ. მწვანეყვავილელი.

—

ქ. ზესტაფონი. (შორაპნის მაზრა). შორაპნის მაზრის მასწავლებელთა ყრილობამ (?) დიდი უმრავლესობით (მაზრაში 320 მასწავლებელია; ყრილობას დაესწრო 65 მასწავლებელი) მღ. ს. მჭედლიძის თავმჯდომარეობით მიმდინარე წლის 12 მარტს, განიხილა რა საკითხი მასწავლებლების ჯამაგირების მომატებისა და, შიილო რა მხედველობაში მათი ეკონომიური მდგომარეობა, დაადგინა: გადიდებულ იქნას მასწავლებელთა ჯამაგირები ხუთ წლიან და პროცენტულ მომატებებით 20,000 მანეთამდე თვეში თუ ეს დადგინილება განათლების სამინისტროს მიერ 14 მარტამდე არ იქნა სისრულეში მოყვანილი, გამოაცხადოს მაზრის მასწავლებელთა გაფიცვა (არ არის სავალდებულო უმრავლესობა 265 მასწავლებელთათვის). ჯამაგირების მაქსიმუმამდის გადიდებას მასწავლებელთა ყრილობა (?) იმით ხსნიდა, რომ მათ ძლიერ ესაჭიროებათ სწავლა-აღზრდის ცოდნის შეძენა.

—

ზესტაფონის სადგურის რკ. გზის მოსამსახურეებმა გამოიგონეს ახალი საშვალება ვაგონების უორთქმავლოთ გადატან-გადმოტანისა, ე. ი. პერპეტუმ მობილე. გამოგონება ესე სავსებით იქნა მიღებული რკ. გზის ადმინისტრაციის მიერ. პირველი ცდა მიმდინარე წლის 13 მარტს საუცხოვოთ ჩატარდა: სამი ქვაბი მაზუთით და ზეთით დატვირთული წარმოუდგენელ სისწრაფით გაეშურენ სადგურ სვირისაკენ და, რომ სვირიდან მომავალ სახალხო მატარებელს მათთვის დაჯახებით ხელი არ შეეშალა, ცისტერნები გამოანგარიშებულ დროზე უფრო ადრე იქნებოდენ სად. სვირში.

პროლეტარი.

—

საჩხერე. თებერვლის 20, ფათერაკი შეემთხვა, საჩხერის კოოპერატივის „მოდინახეს“, გამგეობის თავჯდომარეს, კოტე აბდუშელიშვილს.

„ბოროტმა ენებმა გაავრცელეს ხმები, ვითომც მას ვაჭარ-სპეკულიანტებთან ჰქონდეს საიდუმლო კავშირი, ქანქართა მოსახვეჭათო.“ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია „შავმა ხალხმა,“ (როგორც იქაური ბ-წყინვალე წოდება, და მცინარე ინტელიგენცია უწოდებს მუშებს).

მოითხოვა აბდუშელიშვილის გადაყენება. მოხდა საარჩევნო ბრძოლა. აბდუშელიშვილმა მოახდინა, ძალთა მობილიზაცია, არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღეს, აწ დრო მოჭმულმა, საჩხერის, „ბრწყინვალე წოდებამ“ ეროვ.-დემოკ. და სოციალისტ-ფედერალისტებმა.

ბრძოლაში „შავმა ხალხმა,“ გაიმარჯვა. სასტიკათ დაამარცხა ბლოკისტები, და მათი კანდიდატი აბდუშელიშვილი ყორანივით გაშავა.

მავნე ენები იმასაც ამბობენ, რომ უკეთუ ბლოკისტების კანდიდატს აბდუშელიშვილს გაემარჯვნა, აპირობდა „ბლოკისტებისთვის“ ნადიმის გამართვას, და მას სხვერპლად უნდა შეწირულიყო ყოვლად პატიოსანი და უმწიკლო ცხოველი შავი ძროხა. კოტეს დამარცხებით, უდანაშაულო ცხოვილი გადურჩა სასჯელს. მართალი უთქვამს პოეტს: „ღმერთმა ერთივით აცხონოს თუ მეორე არ წაწყმინდოსო.“

„მაშხალა“

—

სოფ-საგარეჯო.

I.

ვინაიდან ადგილობრივ აფთიაქში წამლები ნაკლებათაა დუქნებში და მათი შოვნა არ შეიძლება აფთიაქის პატრონმა (პროვიზორმა.) გადასწყვიტა რაც შეიძლება მეტი წყალი უყოს წამლებს, რომ ამით გამოუზოგოს მცხოვრებლებს. ეს პირველ მოთხოვნილების საგანი.

— კოოპერატივის წლიურ კრებაზე მცხოვრებლებმა გამგეობას მადლობა გამოუცხადეს, რადგანაც მთელი წლის განმავლობაში უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ ყოველ ნაირი საქონლით, ხოლო ბოლო ხანებში სულ იაფათ შეიძინეს პირველი ხარისხის კევი, ბურნუთი, და ჭიანი თხილი, რასაც დიდი გასავალი ჰქონდა თვით კოოპერატივის მოსამსახურეთა შორისა.

კომბლე.

—

ბათუმი. ადგილობრივ რუსთა ეროვნულმა საბჭომ განასაჩივრა ქალაქის არჩევნები, იმ იმედებით რომ გენერალ-გუბერნატორი არ დაამტკიცებს მას. საბჭო უკვე შეუდგა არჩევნების სამზადის.

უკვე მიწვეული ჰყავთ რამდენიმე ქართველი ინსტრუქტორი. იმედი გვაქვს რომ მომავალ არჩევნებში 36 ხმოსანი რუსები იქნება.

—

დამტკიცდა და გამოქვეყნდა ახალი ტაქსა სანოვაგეებზე. ამ ტაქსი მოვაჭრეებს უზარალია ორი მილიონი ბონ.

—

ქ. ზესტაფონი. ვინაიდან ქალაქის თავისთვის ადგილობრივ სამოქმედო „ასპარეზი“ ვიწრო შეიქმნა მუდმივ სამოქმედო ადგილათ მან თავისთვის დაინიშნა ქ. თფილისი, სადაც უმეტეს დროს ატარებს.

—

— ქალაქის თავის მოადგილე ბაქარით მძიმე ავათ შეიქნა. მაზრის ექიმი ამაშუკელი საღამოს 9 საა-

თიდან დილის 5 საათამდის თავს დასტრიალებს, მაგრამ მანუკეშებელი ჯერ არაფერი სჩანს. მოსალოდნელია ორთავე იმსხვერპლოს ამ უცნაურმა სენმა.

—

— ბესარიონ გაჩეჩილაძემ საბოლოოთ ჩააბარა „ადლაკატობის“ ეგზამენი, რისთვისაც ადგილობრივ სასამართლოებში ნება ეგოძა საქმეების დაცვისა. როგორც ამბობენ დიდ ამაგს იჩენს ხალხისათვის და საქმის ღირებულებაზე ასჯერ მეტს არავის ახთევინებს.

მართაშვილი.

—

თელავი.

უკანასკნელ გამოანგარიშებით მდგომარე, 1919-20 სამოსწავლო წელში თელავის გიმნაზიაში მეცადინეობამ 13 დღე გასტანა. წლის ბოლომდე მოსალოდნელია კიდევ 4 სამეცადინო დღე. თუ ეს გამართლდა-იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უნ-ვერსიტეტები ჩვენთვის საჭირო აღარ იქნება.

— ერობის გამგეობის გადაწყვეტილებით მიწის რეფორმების ცხოვრებაში გატარებას მომავალ ზამთარში შეუდგებიან, ხოლო დასასრული მოსალოდნელია 2017 წლისათვის.

—

— სამაზრო პროფესიონალურმა-საბჭომ გ-ნიხილა რა წინანდლის სახელმწვფო მამულის მუშების საჩივარი, რომ ამავე მა-ულის მოურავმა ნება არ დართო მუშებს „დავითელობა“ უქმათ,-გადასწყვიტა სამსახურიდან იქნეს გადაყენებული „რეაქციონერი“ მოურავი რამიშვილი და მის მაგიერ დაინიშნოს საბჭოს ერთ-ერთი წევრთაგანი. ვინაიდან სამოურავო კანდიდატები საბჭოში სამნი არიან მოსალოდნელია დიდი განხეთქილება, რომლის თავიდან ასაცილებლათ გადა-წყდა: წინადადება მიეცეს ნაფარეულის და მუკუზნის მამულების მუშებსაც ასეთი საჩივრები შემოიტანონ მათ მოურავებზედაც, რომლის გარჩევის დღეთ დაინიშნოს 9 მარტი. ამბობენ შინაურ კონფლიქტს ამით ბოლო მოეღებაო. შედეგი შემდეგ.

—

— თემთა წარმომადგენლების სამაზრო კონფერენციამ გადასწყვიტა: გაუქმდეს სამაზრო ერობა და თვითმმართველობის უმაღლეს ინსტანციათ თემი გამოცხადდეს, სამაზრო ერობის შენობა გარდაეცეს კოოპერატივ „კახეთის მუშას“ იმ საქონელთა დასალაგებლათ, რომლებიც გადარჩათ ყველა წევრების დაკმაყოფილების შემდეგ და უბინობის გამო ქუჩაში უწყვიათ.

—

— მობრძანდა კახეთის წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაზ სოსო მაჭავარიანი. დეპუტატის ეს მოსვლა პირველია დამფუძნებელი კრების დაარსების დღიდან.

— გატყობინებთ კახეთის სახელმწიფო მამულების მორიგ მოთხოვნილებებს:

1) გაუქმდეს 8 საათის სამუშაო დღე და დაკანონდეს ფაქტიურათ არსებული 3 საათის მუშაობა.

2) უქმეთა რიცხვი გადიდებულ იქნას თორმეტჯერ.

3) ვინაიდან ყველა მამულების მუშები გამოდიან 79 სოფლებიდან მიეცეს მათ გარდა 32-სა 79 ადგილობრივი უქმე.

4) ყოველ ორ კაცში ერთს ორ დღეში ერთი დღე მიეცეს თავისუფლება, პროფესსიონალურ კავშირის კრებებზე დასასწრებლათ დამოუკიდებლათ იმისა მოხდება ამდენი კრებები თუ არა.

5) თუ უქმეთა და თავისუფლებათა რიცხვმა 365-ს გადააჭარბოს სათანადოთ გადიდდეს დღეთა რიცხვი წელიწადში.

ორბი—შვამთელი.

ჭაგან-ღანირი.

7 იანვარი (დაგვიანებულია) ჭაგან ღანირის რესპუბლიკის ჯარის ერთი პოლკი 4 იანვარს ძალით შეიჭრა ღანირ-ქუტირის საზღვრებში, დაიპყრო რამდენიმე სოფელი და დაიჭირა თავისუფლების მოედანი და მის ახლო მდებარე სიმაგრენი. ფორტებზე მოდარაჯე ოთხი ძაღლი და ექვსი კატა ტყვეთ წაიყვანა;

ჯაგან, ფილები აღფრთოვანებას გამოსთქვამენ ჭაგან-ღანირის ჯარის ასეთ მოქმედებაზე.

—

8 იანვარი. ღანირ-ქუტირის მთავრობამ განკარგულება გასცა შეტაკების წინააღმდეგ რათა უბრალოთ ძმათა სისხლი არ დაღვრილიყო, ღანირ-ქუტირის საგარეო მინისტრმა ნოტა გაუგზავნა ჭაგან-ღანირის მთავრობას. „მე დარწმუნებული ვარო, ამბობს მინისტრი, რომ ეს დანაშაულობაა ჯარის უფროსისა, (ფრანგიშვილი) რომელ-ც თავისაკე მთავრობის დაუკითხავათ შემოიჭრა ღანირ-ქუტირის საზღვრებში.

დაუყონებლივ ჯარი გაყვანილი უნდა იქნას ნადავლი და კონტრიბუცია დატოვებული“.

—

9 იანვარი. დღეს დილის 5 საათზე ჭაგან-ღანირის ჯარი ღანირ ქუტირის საზღვრებიდან გავიდა ნადავლი და კონტრიბუცია არ დაუბრუნებიათ. ტყვეები გაანთავისუფლეს.

კუდიანი.

სურათი გამოცანა.

სახელმწიფო სტამბა.